საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 6 23 0000765468

26/06/2023

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I და II კლასების ჭადრაკის საგნის სასკოლო სახ ელმძღვანელოების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქარ თველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნოდარ პაპუკაშვილისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 ივნისის N751315 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 26 ივნისის N759128 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტებს.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ნოდარ პაპუკაშვილი